MISGUIDED STEREOTYPES OF POSTMODERNISM AND THE REPRESENTATION OF UNIVERSAL MORAL DILEMMAS IN CONTEMPORARY FICTION (G. SOSIASHVILI'S SHORT STORY "EXIT FROM THE BODY")

პოსტმოდერნიზმის მცდარი სტერეოტიპები და უნივერსალური მორალური დილემების რეპრეზენტაცია თანამედროვე მოთხრობაში (გ. სოსიაშვილის მოთხრობა ,,გასვლა სხეულიდან")

Giorgi Khorbaladze
PhD in Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
https://orcid.org/0000-0003-0453-8521

Abstract. It does not require much observation or effort to notice that modernity, alongside progress, also introduces a certain degree of chaos into art and literature. Boundaries have been dissolved, and both online platforms and bookstore shelves are filled with works by contemporary authors who enjoy popularity and readership. Yet, in many cases, the themes and styles of expression are chosen not according to the relevance of the problem or professional criteria, but rather for their scandalous nature or an undefined sense of freedom. This often paves a shortcut to recognition for authors oriented toward provocation. The essential requirement seems to be fearlessness and shamelessness, which can quickly turn a book into a bestseller and imprint the author's name in the public memory.

We are far from claiming that restrictions in literature are desirable; on the contrary, breaking boundaries—when done in moderation and with proper context—can be both acceptable and necessary, even when dealing with coarse terminology. However, when this becomes an end in itself, and the author relies solely on such tactics, the result is inevitably weak and unconvincing.

In this paper, we aim to redirect the reader's attention in the opposite direction, asking whether contemporary authors are compelled to follow such tendencies blindly, or whether it is possible to write without succumbing to them. This path is undoubtedly more difficult: one month or one year is not enough to reach readers—it requires far more time and effort. Sometimes, one discovers a young writer and marvels at their talent, only to realize that the work was written years earlier, accompanied by many other remarkable pieces. Such authors do not shout, curse, or abandon shame; they simply write what they feel compelled to write—what they consider problematic, what reflects both their pain and ours. They write patiently, waiting for the reader to arrive.

Keywords: Postmodernism; Contemporary Literature; Representation, Giorgi Sosiashvili.

გიორგი ხორბალაძე
ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
https://orcid.org/0000-0003-0453-8521

აბსტრაქტი. დიდი დაკვირვება და ძალისხმევა არ არის საჭირო, იმის დასანახავად, რომ თანამედროვეობას, განვითარებასთან ერთად, გარკვეულიწილად ქაოსიც შემოაქვს ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ყოველგვარი ზღვარი მოშლილია და ინტერნეტ–საიტები თუ წიგნის მაღაზიათა თაროები აჭრელებულია იმ თანამედროვე ავტორთა ნამუშევრებით, რომელთაც არც პოპულარობა აკლიათ და არც მკითხველი, თუმცა ხშირ შემთხვევაში თემატიკა და გამოხატვის სტილი არა პრობლემის აქტუალურობის ან პროფესიონალიზმის კრიტერიუმების გათვალისწინებით არის შერჩეული, არამედ - სკანდალურობიდან და რიგ შემთხვევაში - თავისუფლების განცდის განუსაზღვრელი შემეცნებიდან, რასაც ის ცდუნება ახლავს, რომ ეპატაჟზე ორიენტირებულ ავტორებს ფაქტობრივად მოკლე გზას უკვალავს ცნობადობისაკენ. მთავარია, ახალგამომცხვარ მწერალს არაფრის მოერიდოს, სირცხვილის შეგრძნებამ არ შეაწუხოს და შედეგიც სახეზე იქნება – ერთ თვეში წიგნებსაც ბესტსელერად აქცევს და მკითხველ საზოგადოებასაც საფუძვლიანად ,,ჩაეკვეხება“ მეხსიერებაში. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან რომ ლიტერატურაში შეზღუდვები გვხიბლავდეს, რა თქმა უნდა, ზომიერად და სწორი კონტექსტით, მისაღებია და საჭიროც კი საზღვრების რღვევა ავტორისათვის, თუნდაც სკაბრეზულ ტერმინებთან გვქონდეს საქმე, მაგრამ როდესაც ეს თვითმიზანია და მხოლოდ ამის იმედად და ამარაა გამოსული ავტორი ასპარეზზე, ცხადია უსუსურად და ხელმოცარულად გამოიყურება.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი, თანამედროვე მწერლობა, რეპრეზენტაცია, გიორგი სოსიაშვილი.

შესავალი. ამ შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი გარემოების, საპირისპირო მიმართულებით გვინდა მოვატრიალოთ მკითხველის ყურადღება, ვინაიდან, ჩვენთვის საინტერესოა თანამედროვე ლიტერატურა და თანამედროვე ავტორები არიან თუ არა იძულებულნი ზემოთ აღწერილი პროცესი გაიხადონ ვალდებულებად, თუ შეიძლება ისე წერაც, რომ არ იყოს საჭიროება ტენდენციაზე ბრმად აყოლისა. თავშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი გზა რთულიც არის, ერთი თვე და ერთი წელი ასეთ შემთხვევებში არასაკმარისია მკითხველამდე მისასვლელად, გაცილებით მეტი დრო და შრომაა საჭირო. ამიტომ ხდება ზოგჯერ - აღმოაჩენ ახალგაზრდა მწერალს, გაიხარებ, დამწყებ შემოქმედს ეს რა კარგად დაუწერიაო და ჰოი, საოცრებავ, რა დამწყები - წლების წინ შექმნილ ნაწარმოებს კითხულობ, რომელსაც წინ კიდევ არაერთი მშვენიერი ნამუშევარი უძღვის. გვიან კი მხოლოდ იმიტომ გაიგე, რომ ავტორი არც ყვირის, არც იგინება, არც სირცხვილის შეგრძნება აქვს დაკარგული; არის თავისთვის და წერს, წერს იმას, რაზეც ეწერება, რასაც პრობლემატურად მიიჩნევს და რაც მისი და შენი ტკივილია. წერს და გელოდება მოთმინებით...

მეთოდები. შედარებითი ანალიზის მეთოდი, კომპარატივისტული მეთოდი. ასევე, ტექსტის ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებული გვაქვს კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომები.

შედეგები და მსჯელობა. გიორგი სოსიაშვილის როგორც მწერლის პორტრეტი ჩვენს წარმოსახვაში ძირითადად ომის თემატიკასთან ასოცირდება, თუმცა საჭიროდ ჩავთვალეთ სხვა თემატურობასაც შევხებოდით მონოგრაფიის სივრცეში. 2007 წელს (2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე) გამოქვეყნებული მოთხრობების კრებული ,,გასვლა სხეულიდან" ხელმეორედ გადავიკითხეთ და ცეცხლზე ნავთის დასხმასავით გამოვიდა სწორედ. კონკრეტულად კი, კრებულში შესულ ერთ მოთხრობაზე (რომლის სათაურიც ავტორს მთლიანი კრებულის სახელწოდებადაც აურჩევია) ,,გასვლა სხეულიდან" შევჩერდებით.

მოთხრობა კაცობრიობის უმძიმეს ცოდვას - ჩვილ ბავშვთა ჩანასახში მოცილებას, ეგრეთ წოდებულ აბორტით დახოცილ, დაბადებამდე სიცოცხლემოსწრაფებულ ბავშვებს შეეხება. ავტორი მტკივნეულად განიცდის და მკითხველსაც შემაძრწუნებლად, მაგრამ რეალისტურად და ემოციურად აწვდის საკუთარ განწყობას. განწირული ბავშვები ზეცაში განაგრძობენ არსებობას, განაგრძობენ და ზემოდან დაჰყურებენ მათ გამწირავ სასტიკ დედამიწას, რომელმაც ისინი არ მიიღო და არ შეიფარა. სამაგიეროდ, მწერლისეული წარმოსახვით, ისინი მზეს შეუფარებია: ,,აქ ცხოვრება გირჩევნიათ, აქ არასდროს შეგძულდებათ ერთმანეთი, მუდამ ასეთები იქნებით: მომღიმრები, კეთილები, ხმაკისკისები, გულმხიარულები", - ეუბნება მზე ,,ღრუბელზე ჩამოსკუპებულ ბალღებს". რომლებსაც ,,ოქროსფერი თმები ჰქონდათ და ანგელოზის ფრთები, ქერუბიმებივით ისხდნენ ღრუბლებზე, რომელიც ნიავის წამოქროლვაზე საამურად ირწეოდა".

,,აბორტით დახოცილი ბავშვები უსხდა გვერდით ფაფუკ ღრუბელზე ცხრათვალა მნათობს" .

ავტორი მდიდარი ფანტაზიისა და ორიგინალური ხედვის წყალობით, საოცრად რეალურად ხატავს არარეალურ სურათს. მკითხველს ერთგვარ ბურუსში ახვევს და უცბად, ძალიან უბრალოდ, სრულიად რეალურ ამბავზე – ერთი გოგოს ირგვლივ დატრიალებულ ოჯახურ დრამაზე გადადის. ახალგაზრდა ქალმა საკუთარ ქმართან ურთიერთობა ვერ ააწყო. ორი რადიკალურად განსხვავებული ადამიანი ერთმანეთს ვერ შეეწყო. განხეთქილების ნაღვერდალი გაღვივდა, ცეცხლი დაინთო და ხანძრად იქცა. ამ დროს სასოწარკვეთილმა ორსულმა ქალმა, საკუთარ თავთან დაიწყო განსჯა, ,,იმ პატარა არსებისთვის რა ექნა, რომელიც მის წიაღში ბინადრობდა. იფიქრა, იფიქრა და თითქოს სწორი გადაწყვეტილება მოძებნა, შვილისთვის მეტი რა სიკეთე გაეკეთებინა, რომ ტანჯვის წუთისოფელში მოსვლა აეცილებინა თავიდან".

მწერალი გულმოდგინედ ცდილობს დედის პოზიციის გასიგრძეგანებას, რადგან ყველა ქმედებას აქვს გარკვეული მიზეზ–შედეგობრივი კავშირი. იქნებ, იყოს შემამსუბუქებელი გარემოება ცოდვის ჩამდენისთვის, იქნებ, მასაც აქვს თავისი სიმართლე. არც ეს უნდა მიიჩქმალოს და ღიად, სააშკარაოზე უნდა იქნეს აწონილი ცოდო–მადლი. ამიტომ, ერთი შეხედვით, ავტორი მთლიანად ირგებს და ითვისებს საკუთარი ცოდვილი გმირის როლს და პოზიციას, თუმცა არის სხვა პოზიციაც და ეს პოზიციები იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგოა, რომ მკითხველს უთუოდ გაოცებას მოჰგვრის. გაოცებას კი მხოლოდ პოზიციებთან მრავალმხრივი მიდგომით არ გვაკმარებს მწერალი, რადგან ფაქტის გამაოგნებლად შთამბეჭდავი თხრობაა წინ:

,,სიკვდილის მოახლოება იგრძნო პაწია არსებამ და თვალი გაახილა. დედის სამყაროს მოავლო მზერა , მცირე ხანს უყურა ბნელ კედლებს. მერე თვალნათლივ დაინახა როგორ განათდა ერთ წერტილში და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახე გამოიკვეთა. – ნუ გეშინია, პატარავ, ჩემთან წაგიყვან, – ღვთიური ხმა იყო, ენით აუწერელი. მერე ღვთისმშობელი გაქრა და ორი წვერწამახული ჩანგალი გამოჩნდა, რომელიც მის მოსაკლავად შემოეყო დედის წიაღში თეთრხალათიან ჯალათს. რამდენჯერმე დაუსხლტა, დედის კედელს აეკრა, ერთიხანობა იფიქრა კიდეც – გადავრჩიო, მაგრამ ბავშვების

სიკვდილში დახელოვნებული მაინც მისწვდა და წუთისოფლის უხილავად წავიდა ზეცისკენ. დედაღვთისამ ჩაიკრა და იესოსავით გაახვია ანგელოზების მიერ მოქარგულ ქსოვილში.”

შეუძლებელია ამ პასაჟის წაკითხვამ ღრმად არ დაგაფიქროს, კაცობრიობის უაღრესად ცოდვიანი ნაკლის რეალური სახე თვალწინ არ გადაგიშალოს, თითქოს თავად ხდები ,,ორი წვერწამახული ჩანგლის“ მსხვერპლი, ისე ხოციელად შეიგრძნობ ,,სიკვდილში დახელოვნებული ხელის“ სიახლოვეს, ისეთი ამაზრზენად განიცდი ჩვილის უსუსურობას, რომელსაც საკუთარი დედის წიაღი სასაკლაოდ გადაქცევია და განტევეების ვაცივით, უსამართლოდ და უმიზნოდ ეწირება სხვათა ცოდვებსა და ცდომილებებს. ეწირება და მიდის არაფრიდან პირდაპირ მარადიულობაში, საფეხურების გაუვლელად, სიცარიელით, უწარსულობით... მისი წარსული მხოლოდ ის ამაზრზენი სურათია, ავტორი რომ გვიხატავდა, ამიტომ რჩება გაუთვითცნობიერებელი და სუფთა ცარცმიუკარებელი დაფასავით, უწარსულო, უახლობლო. მისი ახლობელი სითეთრეა, სისუფთავეა, მზეა, ღრუბლებია, ღმერთია... თუმცა ავტორს მაინც რჩება ეჭვი, იქნებ, ასეც სჯობდა?! ,, სიცოცხლე ხომ ლოდინია, დიდი ლოდინი. მოსაცდელზე მყოფი მგზავრივით ელოდება ადამიანი სიკვდილის გამოჩენას.ავტობუსი ხან იგვიანებს, ხან კიდევ დროზე უფრო ადრე მოდის, რას გაიგებ. მიქელგაბრიელიც ეგრეა, ჩამოგიქროლებს იმ ვეება ტრანსპორტივით და მიგიყვანს ბოლო ალაგამდე, იმ ბოლო ალაგზეა ღმერთი. მარადიული არაფერია, მარადიულობას მხოლოდ სიკვდილი თუ გაზიარებს კაცს“.

ავტორი დაბეჯითებით არაფერს გიმტკიცებს, ის მხოლოდ ფაქტებს მოგითხრობს და ამ ფაქტების შეფასების ყველა ვარიაციაზე გაყენებს საქმის კურსში. დასკვნები თავად უნდა გააკეთო, ხოლო ეს რომ შესძლო, ფიქრებით მაინც, თუნდაც წამიერად უნდა ამაღლდე, ამაღლდე და ზემოდან გადმოხედო სამყაროს.

,,შორს სივრცეში ჩაკიდული დედამიწა მოჩანდა, მძიმე იყო დედამიწა, ძალიან მძიმე, მაგრამ მაინც ეკიდა,ეკიდა და ბრუნავდა თავის ცოდვებთან ერთად.

მზე კი უღიმოდა ქათქათა ღრუბლებზე ჩამომჯდარ ბალღებს“.

დაბოლოს, გვინდა მოთხრობაზე საუბარი იმით დავასრულოთ, რითიც დავიწყეთ, თანამედროვე მწერლებში განვითარებული ტენდენცია, თანამედროვე ხედვა რიგითი თუ მარადიული პრობლემებისა, ხშირ შემთხვევაში დამახინჯებულად, ხელოვნური გადაჭარბებულობით და, რაც ყველაზე უარესია, შეგნებულად არასაჭირო სკაბრეზულობითა და სირცხვილის განცდის იგნორირებით გამოიხატება, თუმცა როგორც გიორგი სოსიაშვილის მაგალითითაც გამოიკვეთა, არსებობს ის არც თუ მრავალრიცხოვანი მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილიც თანამედროვე ავტორებისა, ვინც რთულ გზას ანიჭებენ უპირატესობას და ამ არჩევანით ამსხვრევენ არასახარბიელო სტერეოტიპებსა და ტენდენციებს.

დასკვნები. ჩვენი აზრით, გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა ,,გასვლა სხეულიდან“ სრულყოფილად შეიცავს პოსტმოდერნის ყველა მახასიათებელს, მასში არის ორი ტექსტი ორი ამბით, არის ერთგვარი დაეჭვება დამკვიდრებული კანონზომიერების შესახებ, არის სრულიად რეალურისა და სრულიად არარეალურის ბუნებრივი შერწყმა, დროისა და სივრცის გარდამავალობა, არ არის ჭეშმარიტების დადგენის მცდელობა, პირიქით, ნაჩვენებია ერთი პრობლემის ყველა რაკურსი და მკითხველისთვისაა მინდობილი ვითარებაში გარკვევა და ჩამოყალიბება.

აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ეს მოთხრობა ერთ მაგალითად მოვიშველიოთ, რათა ნათლად დავინახოთ, რომ პოსტმოდერნისტულობა არ გულისხმობს გარდაუვალ სკაბრეზსა და ეპატაჟს, არადა, გვეჩვენება, რომ ბევრი ავტორის მიერ სწორედ ასე იქნა აღქმული და ეს ფაქტორი აღმოჩნდა კიდეც განმაპირობებელი მათი უადგილო და უკონტექსტო გამოყენებისა.

გამოყენებული ლიტერატურა
სოსიაშვილი, გ. (2007). *გასვლა სხეულიდან.* მოთხრობები. თბილისი.
ხორბალაძე, გ. (2018). *რაკურსი.* თბილისი.
ხორბალაძე, გ. (2025). *ომი და ადამიანი.* გორი.

REFERENCES
sosiashvili, g. (2007). *gasvla skheulidan. motkhrobebi [Exit from the Body]*. Stories. Tbilisi.
khorbaladze, g. (2018). *rak'ursi [Perspective]*. Tbilisi.
khorbaladze, g. (2025). *omi da adamiani [War and the Human Being]*. Gori.